საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/11/2025

MES 4 25 0001611454

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 31.10.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 18:05
საბჭოს თავმჯდომარე:ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** -სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **ქეთევან აფთარაშვილი** -შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** -ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** -შპს უნივერსიტეტი „ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ციური დურული** -სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** -შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** -სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **ირინა ლობჟანიძე** -სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. **ნათია იორდანიშვილი**- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
12. **მაქსიმ იავიჩი**- შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი
ივანე ჯაგოდნიშვილი
ბორის გითოლენდია
მამუკა მაისურაძე
ნინო ლომიძე
მალხაზ ბერეჟიანი
ლიკა აფციაური
თემურ რუხაძე
ქეთევან აფციაური
ქეთევან ლაფერაშვილი

სსიპ-შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნატო გენგიური

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ნანა იაშვილი
ნინო გაგნიძე
კარლ სტოკერი

აკრედიტაციის ექსპერტები

- თამარ სანიკიძე (I)
- ეკატერინე კახნიაშვილი (I)
- ნინო პატარაია (I)
- ლიანა ზაგაშვილი (I)
- ხათუნა ხაბულიანი (II,III)
- ნინო ქიმერიძე (III, IV)
- სოფიო თავაძე (III, IV)
- ანჟელა აბულაძე (III, IV)

აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ**ლევან შავაძემ.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის", "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის", "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, "სასურსათო ტექნოლოგიის", "სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო და "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის” (ქართული ხელოვნება, კვლევა და დაცვა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენლი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ-შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) სადოქტორო, ანგარიში;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;

5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის", "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის", "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, "სასურსათო ტექნოლოგიის", "სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო და "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" (ქართული ხელოვნება, კვლევა და დაცვა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენლი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ-შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) სადოქტორო, ანგარიში;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის", "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის", "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, "სასურსათო ტექნოლოგიის", "სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო და "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამა 1
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:სასურსათო ტექნოლოგია
საფეხური:ბაკალავრიატი
სწავლებისენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში
დეტალურისფეროსკოდი: 0721 - სურსათის გადამუშავება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტები:240

პროგრამა 2
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია
საფეხური:ბაკალავრიატი
სწავლებისენა:ქართული

მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში
დეტალურისფეროსკოდი: 0721 - სურსათის გადამუშავება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტები:240

პროგრამა 3
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია
საფეხური:დოქტორანტურა
სწავლებისენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: მეცნიერების ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში
დეტალურისფეროსკოდი: 0721 - სურსათის გადამუშავება
სტატუსი:არაკრედიტირებული
კრედიტები:240

პროგრამა 4
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:სასურსათო ტექნოლოგია
საფეხური:მაგისტრატურა
სწავლებისენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: მაგისტრი სურსათის ტექნოლოგიაში
დეტალურისფეროსკოდი: 0721 - სურსათის გადამუშავება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტები:120

პროგრამა 5
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:სურსათის უვნებლობა
საფეხური:მაგისტრატურა
სწავლებისენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: სურსათის უვნებლობის მაგისტრი
დეტალურისფეროსკოდი: 0721 - სურსათის გადამუშავება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტები:120

პროგრამა 6
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:სასურსათო ტექნოლოგია
საფეხური:დოქტორანტურა
სწავლებისენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი
დეტალურისფეროსკოდი: 0721 - სურსათის გადამუშავება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტები:60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილებისსაფუძველსწარმოადგენდაშრომითიურთიერთობადაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენუმაღლესი საგანმანათლებლოდაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დარიო კომპანიონე არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. მისი წერილი დამსწრეებს გააცნო თარჯიმანმა ნინო მირაზანაშვილმა:

„ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 21-22 ივლისს განახორციელა პროგრამის კლასტერის აკრედიტაციის ვიზიტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო პროგრამების აკრედიტაციის ანგარიში წარმოდგენილია როგორც ძლიერი, სტრატეგიულად ინტეგრირებული კლასტერი, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეებს. ერთობლივად, ექვსივე პროგრამა ქმნის თანმიმდევრულ საგანმანათლებლო გზას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ ეკონომიკურ პრიორიტეტებს და საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით სურსათის უვნებლობისა და ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში.

ექსპერტთა ჯგუფი თავის შეფასებაში აღიარებს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან მოდერნიზაციასთან, აკადემიურ სიზუსტესთან და შრომის ბაზართან შესაბამისობის ვალდებულების შესრულებას. ამავდროულად, გამოყოფს რამდენიმე კრიტიკულ სფეროს, რომელიც მოითხოვს დამატებით დახვეწას. საერთო ჯამში, კლასტერი აჩვენებს ძლიერ და სტრატეგიულად ინტეგრირებულ აკადემიურ სისტემას. პროგრამები იზიარებენ ცოდნას და გამოცდილებას, ლაბორატორიულ ობიექტებსა და სამრეწველო პარტნიორობას, რაც ქმნის თანმიმდევრულ გარემოს და ხელს უწყობს სტუდენტების წინსვლას.

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი პროგრამა ვენის უნივერსიტეტთან, რომელიც გასცემს ორმაგ ხარისხს, ასახავს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთგულებას საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართ და სტუდენტებს აძლევს საშუალებას ჰქონდეთ ევროკავშირის დონის აკადემიურ სტანდარტებთან და კვლევით პრაქტიკასთან შეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები აღიარებენ პროგრამის ძლიერ მხარეებს, შეფასების პროცესში გამოვლინდა ის კომპონენტები, სადაც შესაძლებელია უნივერსიტეტის პროგრამების გაძლიერება თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად:

- **სწავლის შედეგები (ბაკალავრიატი)**

ბაკალავრის დონეზე რამდენიმე პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად იმეორებს სამიზნე ნიშნულების დებულებებს პროგრამის სპეციფიკური ადაპტაციის გარეშე. ეს ზღუდავს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გამიჯვნას, განსაკუთრებით დისციპლინარული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის და მდგრადობის თვალსაზრისით.

- **რბილი უნარები**

ანალოგიურად, რბილი უნარების შემთხვევაშიც, მაგალითად როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ლიდერობა, არათანმიმდევრულადაა ინტეგრირებული სასწავლო გეგმაში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კურსდამთავრებულების მზადყოფნაზე, დასაქმდნენ თანამედროვე სამუშაო ადგილებზე.

- **შეფასების პრაქტიკა**

შეფასების პრაქტიკა, ასევე, იმსახურებს ყურადღებას, გამოცდის ხანგრძლივობა ხშირად სტანდარტიზებულია კურსების მიხედვით და არ არის მორგებული სირთულესა და სასწავლო მიზნებზე.

დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს აკლია სრული გამჭვირვალობა რესპონდენტების იდენტიფიცირებისას. ამ შეფასების ინსტრუმენტების გაძლიერება უზრუნველყოფდა საიმედო, ქმედით უკუკავშირს და ხელს შეუწყობდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილვისას ხაზგასმულია სტრუქტურირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია თვითშეფასების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სპეციალისტის ჩართვა მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობებით გააძლიერებდა ზედამხედველობის მექანიზმს და უზრუნველყოფდა პროცესის ობიექტურობას.

ანალოგიურად, კლასტერულ დონეზე ბიუჯეტისა და რესურსების განაწილების სტრატეგიული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა მეტად დაეხმარებოდა პროგრამის გაუმჯობესებას, ფაკულტეტისა და სტუდენტების განვითარებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და საერთაშორისო გაცვლით ინიციატივებს. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე პროგრამები უკვე ავლენენ უფრო მჭიდრო შესაბამისობას კვლევებთან, მდგრადობასთან და პოლიტიკის ინტეგრაციასთან, მაგრამ გარკვეული კორექტირება ამ მიმართულებითაც აუცილებელია. მაგალითად, დოქტორანტურის გარკვეულ კურსებში სწავლის შედეგები ვიწროდ არის ფოკუსირებული მიკრობიოლოგიურ ასპექტებზე. ზედამხედველობის პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულია დოქტორანტურის წესდებაში, უფრო მკაფიო ფორმულირებას მოითხოვს, რაც მეტი სარგებლობის მომტანი იქნებოდა კვლევის დროულად დასრულების თვალსაზრისით. მაგისტრატურის დონეზე ბაკალავრის პროგრამებისგან დიფერენციაცია (სიღრმის, კვლევითი დავალებების და შემთხვევის კვლევების თვალსაზრისით) ნათლად უნდა იყოს ასახული სასწავლო გეგმებში.

ექსპერტთა მიერ საკითხების განხილვის პროცესში უნივერსიტეტმა ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგინა განმარტებები და განახლებები (მაგალითად, სტაჟირების კონტრაქტების განახლება, სასმელების ტექნოლოგიის პროგრამაში გადაფარვის კურსების ამოღება). წარმოდგენილი არგუმენტები საკმარისად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რის შედეგადაც აღნიშნული რეკომენდაციები შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად. თუმცა, უმეტეს

შემთხვევაში, პანელის თავდაპირველი რეკომენდაციები კვლავაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ისინი მოიცავს ჯვარედინი თემების ინტეგრირების აუცილებლობას ყველა პროგრამაში, მათ შორის დიგიტალიზაციის, მდგრადობის, ცირკულარული ეკონომიკისა და გლობალური სასურსათო პოლიტიკის მიმართულებით; რბილი უნარების განვითარების გაზომვადი ფორმით ინტეგრირებას სასწავლო პროცესში; სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობისა და შესაბამისობის უზრუნველყოფას; შეფასების ინსტრუმენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურების გაუმჯობესებას; ლიტერატურის მოდერნიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას.

რეკომენდაციების განხორციელება მხოლოდ პროცედურული პროცესი არ არის, ეს არის სტრატეგიული გზამკვლევი, რომელიც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს, გააძლიეროს აკადემიური თანმიმდევრულობა, გაუმჯობესოს კურსდამთავრებულთა კომპეტენციები და განამტკიცოს თავისი პოზიცია, როგორც სასურსათო ტექნოლოგიების განათლების რეგიონულმა ლიდერმა. ინტერდისციპლინურობის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სრულად მიღებით, დაწესებულებას შეუძლია განახორციელოს შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული კონკურენტუნარიანი პროგრამები.

დასკვნის სახით, კლასტერმა მყარი საფუძველი ჩაუყარა შთამბეჭდავი ინფრასტრუქტურით, ერთგული პროფესორ-მასწავლებლებით და საერთაშორისო პარტნიორობით. ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები მიზნად ისახავს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური სიმწიფის, ინოვაციისა და მდგრადობისკენ წარმართვას. მათი განხორციელების შემთხვევაში, ისინი გააუმჯობესებენ პროგრამების გამორჩეულობასა და ხარისხს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების უკეთესად მომზადებას თანამედროვე კვების მრეწველობის გამოწვევებთან გასამკლავებლად და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საქართველოს სასურსათო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებაში.

ექსპერტთა ჯგუფი სრულ ნდობას უცხადებს ტექნიკურ უნივერსიტეტს და მოუწოდებს მის გუნდს, რომ რეკომენდაციები კრიტიკის ნაცვლად განიხილოს როგორც სტრატეგიული გაუმჯობესების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში საორიენტაციო ინსტიტუტის პოზიცია კიდევ უფრო გააძლიეროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ივანე ჯაგოდნიშვილი, პირველ რიგში მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და ექსპერტებს მადლობა გადაუხადა სამუშაოს გაწევისთვის და თანამშრომლობისათვის. შესავალში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესები.

კლასტერთან მიმართებით აღნიშნა მნიშვნელოვანი სიახლე, ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში ჩამოთვლილი პროგრამები ხორციელდებოდა სამ ფაკულტეტზე, ხოლო დღეს ისინი ორი ფაკულტეტის ფორმატში მიმდინარეობს. ეს ცვლილება დაკავშირებულია ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ ინსტიტუციურ ვალდებულებასთან, რომლის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ფაკულტეტების გამსხვილება დარგობრივი და პროფილური სიახლეების გათვალისწინებით.

შედეგად, ქიმიისა და აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტები გაერთიანდა და შეიქმნა აგრარული მეცნიერებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი. გარდა ამისა, კლასტერში კვლავ წარმოდგენილია მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი.

სხდომას ესწრებოდნენ ორივე ფაკულტეტის დეკანები — ქალბატონი ლიკა თარგამაძე და ბატონი ბორის გითოლენდია, აგრეთვე თვითშეფასების ჯგუფის წევრები, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები. აღინიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია ფაკულტეტებს შორის როლურად გადანაწილდა.

აგრარული ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ, რბილ უნარებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა, რომ რბილი უნარები წარმოდგენილია ყველა პროგრამაში და ფარავს დარგობრივ მახასიათებლებს, რომლებიც დარგის სპეციალისტების მიერ არის შემუშავებული. რბილი უნარები სწავლის შედეგებში პროგრამების მიხედვით იყო გადანაწილებული. მან განმარტა, რომ „კომუნიკაციის უნარები“ მოცემულია პირველ, მეორე, მესამე და მეექვსე სწავლის შედეგში; „გუნდური მუშაობა“ მეცხრე და მეთერთმეტე სწავლის შედეგში; „ლიდერობა“ მერვე, მეთერთმეტე, მეთოთხმეტე და მეცამეტე სწავლის შედეგში (ეს ეხება ბაკალავრიატს); ხოლო „პრობლემის გადაჭრა“ მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე სწავლის შედეგებში. „დისციპლინათშორისი საგნების ურთიერთკავშირი“ მეოთხე, მეცხრე, მეორე სწავლის შედეგებში არის წარმოდგენილი. ნინო ლომიძემ აღნიშნა, რომ ძირითადი ორიენტირი დარგობრივი მახასიათებელი იყო, რომელიც განსაზღვრავდა, რომელ კომპეტენციებზე უნდა გაკეთებულიყო აქცენტი. შესაბამისად, პროგრამების აგება ემყარებოდა ამ სტრუქტურას, რაც სრულად შეესაბამება 1.2 სტანდარტს.

1.3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ის ძირითადად ეხება რესპონდენტების ვინაობის მითითებას გამოკითხვებში. უნივერსიტეტი უკვე რეგულარულად ახორციელებს აღნიშნულ გამოკითხვებს.

1.3 სტანდარტის ფარგლებში პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ყველა პროგრამაში არსებობს, გულისხმობს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასებას. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული პრაქტიკა უნივერსიტეტს უკვე გააჩნია, თუმცა სასურველია დამატებითი ინფორმაციის მიწოდება და რესპონდენტების ვინაობის მითითება გამოკითხვის შედეგებში.

რაც შეეხება 1.4 სტანდარტს (პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების მასალების გადახედვა), რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსების დასახელებების, კრედიტების და საათების განაწილების თანმიმდევრულობას და სრულ შესაბამისობას თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციასთან აღნიშნა, რომ გაანალიზებისას იქნა ამოღებული ყველა პროგრამაზე მოცემული დებულება და ძირითადად საუბარია სახელმწიფო ენის შეტანაზე, რაც დაწესებულებამ უკვე შეასრულა.

ასევე, 1.4 სტანდარტში მოთხოვნილი იყო რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდები ყოფილიყო 1 საათიანი, მაშინ როცა 1.5 სტანდარტში ეს ცალკე რეკომენდაციის სახით არის აღნიშნული. შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ ეს ორი რეკომენდაცია ერთმანეთს იმეორებს.

ასევე, ანალიზში სურსათის წარმოების ნარჩენებზე არის გაკეთებული აქცენტი, რომელიც ყველა პროგრამას არ ეხებოდა და დაწესებულებას მიაჩნია, რომ ერთიანობაში მისი გამოტანა არასწორია, რადგან ეს რეკომენდაცია ყველა პროგრამას არ ეხებოდა. მაგალითად, ბაკალავრიატის პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგიები“, რომელიც საუკეთესო პრაქტიკად იქნა

გამოტანილი ორდიპლომიანი პროგრამაა, იქ პირდაპირ 6 კრედიტით არის მოცემული ნარჩენების საკითხები. ამიტომ, საერთო კონტექსტში მიაჩნიათ, რომ ეს საკითხები დაფარულია და და არ საჭიროებს დამატებით რეკომენდაციას ყველა წარმოდგენილ პროგრამაში.

ივანე ჯაგოდნიშვილმა გააგრძელა შემდეგ რეკომენდაციაზე საუბარი. მან აქცენტი გააკეთა რეკომენდაციის სახით მოწოდებულ რჩევაზე გამოცდის ხანგრძლივობის გადახედვის შესახებ, რომ უფრო გახანგრძლივდეს უფრო ეფექტური შეფასების უზრუნველსაყოფად. აღნიშნა, რომ გამოცდის გახანგრძლივების გადახედვა ინდივიდუალურად აღსაქმელი ნარატივია, იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, თითოეული სასწავლო კურსის ავტორი თავად განსაზღვრავს სავალდებულო შემადგენელებთან ერთად, პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობის ფორმატს განაწილების პრინციპის მიხედვით. ბუნებრივია, რელევანტურობის პრინციპი ამ შემთხვევაში ხანგრძლივობის გათვალისწინებით დაცულია. სასწავლო პროცესიც იმგვარადაა უნივერსიტეტში დაგეგმილი, რომ საგამოცდო პროცესი გამჭვირვალე, ყოვლისმომცველი, მარტივად აღსაქმელი და გასაგებია სტუდენტებისთვის.

ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული პლატფორმა, რომლითაც ყველა სტუდენტები სარგებლობენ, 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს და სერვისის უზრუნველყოფა სრულფასოვნად არის უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის მიერ.

შემდეგი რეკომენდაციაა 4.5, რომელიც ეხება ბიუჯეტს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეულ ფაკულტეტს გააჩნია თავისი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. მისი შედგენის დადგენილი წესის თანახმად, საფაკულტეტო ბიუჯეტებში მუხლობრივად, აბსოლუტურად გასაგებად არის გაწერილი ყველა ის სავალდებულო პუნქტი, რასაც ბიუჯეტის შედგენის პრინციპი გულისხმობს საშემოსულო, ხარჯვითი ნაწილით, პროგრამული განვითარების მუხლით, ინფრასტრუქტურით და ა.შ.

ბიუჯეტის პროექტი განიხილება ფაკულტეტების საბჭოებზე და შემდეგ უკვე საბჭოს მიერ მოწონებული პროექტი იგზავნება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე შემდგომი განხილვა-დამტკიცებისთვის სენატზე. ასე ხდება წარმომადგენლობითი ორგანოების გავლით ბიუჯეტის საბოლოო რედაქციის დამტკიცება. ყველა ის სავალდებულო პუნქტი, რასაც ბიუჯეტი მოიცავს, მათ შორის პროგრამული განვითარების სავალდებულო მუხლი, ყველაფერი გამჭვირვალედ და ცალსახად დაკონკრეტებულია და უზრუნველყოფს ყველა იმ საჭიროებას, რაც პროგრამული განვითარებისთვის არის საჭირო, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე.

შემდეგი რეკომენდაცია 5.1, სადაც საუბარია SWOT ანალიზზე ივანე ჯაგოდნიშვილმა განმარტა, რომ თავისთავად თვითშეფასების ფორმატიც იმ რედაქციით, რითაც არის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ვერ განხორციელდება ვერანაირად, თუ SWOT ანალიზსა და მის პრინციპებს არ გამოიყენებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ფაკულტეტის ხარისხხიდ სამსახურის ხელმძღვანელმა, მამუკა მაისურაძემ დამატებითი განმარტა, რომ დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციას იმ გაგებით, რომ SWOT ანალიზი ბუნებრივია კეთდება და მის საფუძველზე ხდება მთელი რიგი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. SWOT ანალიზით კეთდება, მაგალითად, საფაკულტეტო კომისიებზე პროგრამების ანგარიშის წარდგენა, რათა გამოვლენილ იქნას გასაუმჯობესებელი მხარეები. ალბათ, საუბარია ცალკე დოკუმენტად რომ იყოს წარმოდგენილი და აღნიშნულის გათვალისწინება შესაძლებელია, თუმცა თვითშეფასების ანგარიში შეიცავს SWOT ანალიზს.

ბუნებრივია, გასაუმჯობესებელი მხარეები ყველა პროგრამას აქვს, ამიტომ ადმინისტრაციული პერსონალის მთელი ძალისხმევა მიმართულია გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოფხვრასა და გაუმჯობესებაზე. მთლიანობაში, ეთანხმებიან რეკომენდაციას და შესაძლებელია შემდგომ ცალკე დოკუმენტად წარმოდგენა SWOT ანალიზის.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების უფრო მეტ ჩართულობას თვითშეფასების ჯგუფებში. ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ არათუ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, არამედ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსების შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც ცენტრალური ხარისხის სამსახური, ასევე ფაკულტეტებზეც. თვითშეფასების მომზადების თუ სხვა პროცესებში პროგრამის განმახორციელებელ თანამშრომლებთან ერთად ჩართული არიან ხარისხის სამსახურის თანამშრომლები. მან აღნიშნა რომ ამ შემთხვევაში თუ უფრო მეტი სიხშირე იგულისხმება, ეს სასარგებლო რჩევაა.

შემდეგ რეკომენდაციაზე საუბარი განაგრძო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნინო ლომიძემ „სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო ორდიპლომიანი პროგრამა ექსპერტებს საუკეთესო პრაქტიკად აქვთ შეფასებული. 1.3 კომპონენტში რეკომენდაციასთან დაკავშირებით „პროგრამას ჰქონდეს მკაფიო მიზნები და სწავლის შედეგები, რომელიც მიმართულია დისციპლინათშორის აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და მდგრადობისკენ“ ნინო ლომიძემ განმარტა, რომ მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს.

რაც შეეხება სწავლის შედეგების შემცირებას მან აღნიშნა, რომ არ მიაჩნიათ გეგმავენ შემცირებას, ვინაიდან თვლიან, რომ ყველა პროფილს დარგობრივი მახასიათებელი ძალიან კარგი აქვს.

ნინო ლომიძემ, მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ლუდის მოხარშვის ტექნოლოგიებს, ასევე გააკეთა კომენტარი, რომ საუბარი არ არის მხოლოდ ლუდის მოხარშვის ტექნოლოგიაზე, რაც დაწესებულებას არგუმენტირებულ დასკვნაში ვრცლად აქვს წარმოდგენილი.

ასევე, რაც შეეხება კვალიფიკაციის ინგლისურ ვერსიას, აღნიშნა, რომ დაწესებულება ეყრდნობოდა დარგობრივ მახასიათებელს რაც არგუმენტირებულ პოზიციაშიც არის წარმოდგენილი.

აგრეთვე, იასუბრა სავალდებულო-არჩევითი ბლოკიდან რძისა და ხორცის პროდუქტების ზოგადი ტექნოლოგიის კურსის ამოღების შესახებ, სავალდებულო სასწავლო კურსში წარმოდგენილი სილაბუსები ერთმანეთისგან განსხვავდება სათაურებით და ასევე შინაარსით. წარმოებაში აქცენტი კეთდება წარმოების პროცესზე, ხოლო ტექნოლოგიაში – ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე. პროგრამა არის ორდიპლომიანი და მეორე მოდულის სტუდენტებისთვის აქცენტი კეთდება რძის ტექნოლოგიაზე, შესაბამისად, საჭიროდ ჩაითვალა თვითშეფასების ჯგუფის მიერ, რომ სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებში ცალკე ჩასმული ყოფილიყო საგანი „რძისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია“.

საუბარი განაგრძო მალხაზ ბერეჟიანმა. მან აღნიშნა, რომ საკითხი დეტალურად განიხილა ექსპერტებთან და გამოიკვეთა რომ არის თარგმანის შეცდომა, კურსს არ ეწოდება „კონსერვების წარმოება“, არამედ „საკონსერვო წარმოება“. ავტორების მიერ აქ იგულისხმებოდა ხანგრძლივად

შენახვადი პროდუქტების ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობდა შრომის პროცესებსა და სპეციალური შეფუთვის პროცესებს. შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ კურსის ამოღება გაუმართლებელია და უმჯობესი იქნება მხოლოდ სახელწოდების კორექტირება.

ლიკა აფციაურმა ისაუბრა სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების მიმართულებით. მისი თქმით, სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. უბრალოდ, ძირითად სახელმძღვანელოდ გამოყენებულია ქალბატონ ქეთევან ლაფერაშვილის ნაშრომი, რადგან ამ სფეროში საქართველოში სხვა ალტერნატიული სახელმძღვანელო ამ ეტაპზე არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სილაბუსებში მითითებულია დამატებითი მასალა, რომელიც შემდგომ გამოიყენება სხვადასხვა პროცესების განხილვისა და თემების დეტალურად გასაშლელად.

დაწესებულების წარმომადგენელმან, ასევე, აღნიშნა, რომ მუდმივად მიმდინარეობს ლიტერატურის ცვლილება, შესაბამისად, დღეს უკვე განახლებული ლიტერატურით მიმდინარეობს სწავლება.

გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაზე საუბარი განაგრძო მამუკა მაისურაძემ. იყო რეკომენდაცია, ამოღებულ იქნას „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ და ჩანაცვლდეს კურსით, რომელიც პირდაპირ უკავშირდება დარგობრივი მახასიათებლების მიზანს. მაგალითად: „საკვების წარმოების მდგრადი განვითარება“, „ნარჩენების მართვა და შემცირება“ და სხვა. აღნიშნული რეკომენდაცია გავრცელდა ორ პროგრამაზე. მან განაცხადა, რომ არ ეთანხმება ამ რეკომენდაციას, რადგან თავისთავად კურსი „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ შეიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა მცირენარჩენიანი ტექნიკების საფუძვლები და სამეურნეო ნარჩენების კლასიფიკაცია. აღნიშნა, რომ ის თემები, რაც რეკომენდაციებშია, პროგრამის ფარგლებში განხილულია და სწავლის შედეგი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებითა და ლიტერატურით.

ბორის გითოლენდიამ განაგრძო საუბარი რეკომენდაცია 1.4-თან დაკავშირებით, რომელიც წინაპირობების სისტემას ეხება. მისივე თქმით, წინაპირობების სისტემა უზრუნველყოფს სწავლების ლოგიკურ თანმიმდევრობას და სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნის ეტაპობრივად დაგროვებას. აღნიშნული საკითხის შესასწავლად განხილული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა მიმართაც მან აღნიშნა, რომ სრულად იზიარებენ.

ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი მაგისტრატურის სწავლის შედეგების დამატებასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა ყველა შედეგი და განმარტა, რომ პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეშვიდე მაგისტრატურის სწავლის შედეგები აბსოლუტურად თანხვედრაშია 2024 წლის დარგობრივ მახასიათებელთან.

რაც შეეხება საკითხს რომელიც ეხება „დაშვების წინაპირობა სურსათის წარმოების დიზაინის სასწავლო კურსისთვის“ დაწესებულების პოზიციის მიხედვით, მაგისტრატურაზე ჩარიცხვისას სტუდენტი აბარებს როგორც საერთო, ისე შიდა გამოცდას ტესტირების ფორმატში, რომელიც მოიცავს ყველა იმ საკითხს, რაც პროგრამის მიხედვით მას საბაზისოდ უნდა ჰქონდეს ცოდნის სახით. შესაბამისად, აღნიშნულ საგანს დამატებითი დაშვების წინაპირობა არ გააჩნია.

თემურ რუხაძემ, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების დიფერენციაციის საკითზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ შენიშვნა სასარგებლოა. თუმცა, როდესაც საკითხს ჩაუღრმავდნენ, გამოიკვეთა, რომ არ ეთანხმებიან ამ კომენტარს და დაწესებულებას აქვს განსხვავებული პოზიცია, რადგან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობენ სურსათის წარმოებას უფრო ზოგადად.

ხოლო სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში ძალიან მკვეთრად არის გამოხატული, რომ ისინი უფრო სიღრმისეულად სწავლობენ ამ ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, ბაკალავრიატში არის ლაბორატორიული საათები, სადაც ისინი სურსათის წარმოების კონტროლს სწავლობენ, ხოლო მაგისტრატურაზე გარდა სემინარებისა არის პრაქტიკული სამუშაოები, სადაც ისინი უკვე ითვლიან, აგებენ სტრუქტურას და ტექნოლოგიური ხაზების მიხედვით უფრო საფუძვლიანად სწავლობენ პროცესებს.

აქვე გაკეთდა კომენტარი მეხუთე პროგრამის რეკომენდაციასთან დაკავშირებით „რეკომენდებულია კვალიფიკაციის ინგლისური ენის სწორად ფორმულირება“. ამ შემთხვეაში დაწესებულება თვლის, რომ კვალიფიკაცია სწორად არის მინიჭებული.

ქეთევან ლაფერაშვილმა აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც წარმოება-გადამუშავების სფეროს ეკუთვნის, ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ბიოლოგიურ მიმართულებაზე, თუმცა მისი თქმით, ამ შემთხვევაში პროგრამის სწორი სახელწოდება კვლავ „სურსათის უვნებლობა“ არის.

დოქტორანტურის პროგრამის „ხორცპროდუქტების ინოვაციური პროდუქტები“ განხილვისას მან აღნიშნა, რომ აღნიშნული მოდული ძირითადად მიკრობიოლოგიურ კვლევებზეა ორიენტირებული, ამიტომ შესაბამის რეკომენდაციასაც სრულად იზიარებენ.

ასევე, განიხილეს პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია, და მათი შეფასებით, ინგლისური კვალიფიკაცია სწორად არის მითითებული.

ლიტერატურის ნაწილთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი ინარჩუნებს იმავე პოზიციას, რაც უკვე დაფიქსირდა ბაკალავრიატის პროგრამის განხილვისას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ლევან შავაძემ დაუსვა კითხვა ექსპერტებს, რომელიც ეხებოდა შემდეგ რეკომენდაციას: „რეკომენდებულია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გუნდში ოფიციალურად შედიოდეს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. გარდა ამისა, გუნდს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები, როგორც საერთო, აგრეთვე სპეციფიკური, რომლებიც შეძლებისდაგვარად იყო დამოკიდებული ინდივიდუალურ პროგრამებთან“. - ის დაინტერესდა, თუ რატომ გახდა აღნიშნული რეკომენდაციის დაწერის საჭიროება

კითხვაზე უპასუხა ნინო პატარაიამ და პირველ რიგში აღნიშნა, რომ V სტანდარტთან მიმართებით გაცემულ ორივე რეკომენდაციაზე მას და პანელის თავმჯდომარეს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობას ჰქონდა უფრო დირიჟორობის სახე და უცხოელმა ექსპერტმა ჩათვალა საჭიროდ ამ რეკომენდაციის ჩამატება.

ლევან შავაძემ კვლავ მიმართა ექსპერტებს კითხვით გამოცდის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და დაინტერესდა მიზეზით, რა იყო აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ეკატერინე კახნიაშვილმა განმარტა, რომ გამოცდისთვის გამოყოფილი იყო 1 საათი, რაც საეჭვოდ მიიჩნიეს — საკმარისი იქნებოდა თუ არა ეს დრო სტუდენტებისთვის. სწორედ ამან გამოიწვია შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს დრო სრულად საკმარისი იყოს.

ლევან შავაძემ, ასევე, დააზუსტა, იყო თუ არა შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე ყველა საგნისთვის განსაზღვრული სწორედ 1 საათიანი ხანგრძლივობა, რაც ექსპერტმა დაადასტურა.

დაწესებულებამ განმარტა, რომ გამოცდის ხანგრძლივობის განსაზღვრა დამოკიდებულია საგნის პროფესორზე და ხარისხის სამსახური ამ პროცესში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ერევა.

ლევან შავაძემ შემდეგ დასვა კითხვა მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით: მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურენოვანი კვალიფიკაციები სწორად იყო წარდგენილი, მაგალითად, პროგრამა „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ — მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებულია „მეცნიერების ბაკალავრი“. მან იკითხა, რამდენად სწორია ეს ფორმულირება და შეფასდა თუ არა ექსპერტების მიერ.

ეკატერინე კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის დასახელება უნდა გამომდინარეობდეს დარგობრივი ჩარჩოდან.

ამასთან, დაწესებულებამ განმარტა, რომ მათ მიერ მითითებული კვალიფიკაციები დარგობრივ მახასიათებლებზეა დაყრდნობილი და სწორად არის შევსებული, ხოლო დოქტორანტურის შემთხვევაში დაფიქსირდა მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი.

ლევან შავაძემ დაწესებულებას დაუსვა დამატებითი კითხვა სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობებში ინგლისური ენის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

დაწესებულებამ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამებზე მოთხოვნილი დონე B2-ია. სადოქტორო პროგრამებში, პროექტისის წარმოდგენის აუცილებლობის გამო, მოთხოვნები უფრო დეტალურად არის გაწერილი.

ივანე ჯაგოდნიშვილმა დაამატა, რომ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მისაღებ გამოცდებზე მოქმედებს უნივერსიტეტის უცხოენოვანი მომზადების ცენტრი, სადაც თითოეული მიღების პერიოდში იქმნება კომისია; წარდგენილი სერტიფიკატები გადის ექსპერტიზას, რის შედეგადაც დგინდება მათი რელევანტურობა.

შემდეგი კითხვა დასვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ისეთი ტერმინები, როგორიცაა „სოფთ სქილი“ ან „ლუდის სახარში“, ქართულ ენასთან ნაკლებად თანხვედრაშია და სასურველია უფრო შესაფერისი ქართული ტერმინოლოგიის გამოყენება. ასევე დაინტერესდა, თუ რა არის ორი პროგრამის არსებითი განსხვავება.

დაწესებულებამ განმარტა, რომ „სასურსათო ტექნოლოგია“ ბაკალავრის პირველი ორდიპლომიანი პროგრამაა, რომელიც ექსპერტების მიერ საუკეთესო პრაქტიკადაც შეფასდა, და კვალიფიკაციის ნაწილშიც არსებობს გარკვეული განსხვავებები.
მამუკა მაისურაძემ დასძინა, რომ აღნიშნული პროგრამები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა დასვა დამატებითი კითხვა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით: ითვლება თუ არა მესამე პროგრამა და რამდენი სასწავლო კურსი მიენიჭება სტუდენტს ისეთი მიმართულებით, რომელიც სურსათის ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული და არა საინჟინრო მანქანათმშენებლობაზე.

ბორის გითოლენდიამ უპასუხა, რომ კვების მრეწველობა როგორც მცენარეული, ისე ცხოველური წარმოშობის ნედლეულისადმი, მალეფუჭებადია და პროდუქტმა უნდა გაიაროს ყველა შესაბამისი ტექნოლოგიური პროცედურა. სტუდენტები სწავლობენ ამ პროცესებს ეტაპობრივად, ნედლეულის მიღებიდან, დახარისხებისა და გაგრილებისგან დაწყებული, გადამუშავებამდე, გაყინვასა და სხვა ოპერაციამდე.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ასევე, მიუთითა, რომ მეორე სემესტრში წერია „ბიოორგანული ქიმია“ და იკითხა, იყო თუ არა ეს ტექნიკური შეცდომა და გამოსწორებულია თუ არა კურიკულუმში. დაწესებულებამ დაადასტურა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ტექნიკური ხარვეზია.

შემდეგ მან იკითხა ლაბორატორიული შეფასების წესზე: ლაბორატორიულ სამუშაოებში ხდება შუალედური შეფასება, თუმცა შეფასება მხოლოდ 1 ქულით არის განსაზღვრული. დაინტერესდა, კონკრეტულად რას მოიცავს ეს სამუშაო.

დაწესებულებამ განმარტა, რომ ჯგუფს ეძლევა ლაბორატორიული ამოცანები, მათთვის განსაზღვრული დროით, და ამ საფუძველზე ხორციელდება შეფასება.

დამატებით მან დააზუსტა, ჯგუფური მუშაობისას ერთმა სტუდენტმა უნდა შეასრულოს ამოცანა თუ მთელმა ჯგუფმა. პასუხად ითქვა, რომ მუშაობს ჯგუფი, თუმცა თითოეულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალური ამოცანაც.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ასევე, იკითხა პლაგიატზე შემოწმების პროცენტულ ზღვარზე, თუ რატომ არის აუცილებელი კონკრეტული პროცენტის დატოვება.

ივანე ჯაგოდნიშვილმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა უნივერსიტეტს ევალება გამოიყენოს სერტიფიცირებული პლაგიატის შემმოწმებელი სისტემა, თანამედროვე გამოწვევების, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის ფონზე, არსებული პროგრამები ვერ ეწევა ტექსტების გენერირების ტექნოლოგიების ზრდის ტემპს. შესაბამისად, პროცენტულობა ყოველთვის ობიექტურ სურათს არ ასახავს.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, მიეწოდება თუ არა რეცენზენტს შესაბამისი ინფორმაცია, რაც ივანე ჯაგოდნიშვილმა დაუდასტურა.

ნარგული ასანიძემ დასვა კითხვა: ეკოლოგიურად პასუხისმგებელი და საწარმოო პროცესების მართვის უზრუნველსაყოფად რომელ სასწავლო კურსს მიანიჭებდა უპირატესობას მამუკა მაისურაძე.
მაისურაძემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი იმდენად კომპლექსურია, რომ ერთი საგანი სრულად ვერ მოიცავს. საკითხები გადანაწილებულია რამდენიმე კურსში, მათ შორის: „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“, „სურსათის ზოგადი ტექნოლოგიები“, „პროცესები და აპარატები“, „უვნებლობა“ და სხვა.

ნარგული ასანიძემ დასვა შემდეგი კითხვა: სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა დღეს განსაკუთრებით მოთხოვნადია; აძლევს თუ არა „სურსათის უზრუნველყოფის მაგისტრის“ კვალიფიკაცია კურსდამთავრებულს შესაძლებლობას, თავად მოახდინოს სისტემის დანერგვა კვების ობიექტებში.
ქეთევან ლაფერაშვილმა განმარტა, რომ კანონმდებლობით ამჟამად აკრძალვა არ არსებობს, რის გამოც ჰასპის (HACCP) სპეციალისტებიც მრავლად გამოჩნდნენ ხშირად შესაბამისი ცოდნის გარეშე. შემდგომ ეტაპზე სურსათის სააგენტო ამოწმებს დანერგილ სისტემებს, რაც ხშირად

დავებს იწვევს. ამიტომ განიხილება მარეგულირებელი ცვლილებები, რათა სისტემა მხოლოდ სერტიფიცირებულმა და კვალიფიცირებულმა სპეციალისტებმა დანერგონ. მისი თქმით, პროგრამის კურსდამთავრებულები საგანს იმდენად დეტალურად სწავლობენ, რომ მსგავსი პრობლემები არ შეექმნებათ.

ციური დურულმა აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსი ატვირთულია და სწავლის შედეგები დაწესებულების მიერ კონკრეტულად და მკაფიოდ არის გაწერილი.

მზია წიკლაურმა დასვა კითხვა მიკრობიოლოგიის სწავლების შესახებ, თუ რა არის მისი ხვედრითი წილი და რომელ ლაბორატორიას გულისხმობდა ბატონი ელიზბარი.

დაწესებულებამ განმარტა, რომ მიკრობიოლოგიის ლაბორატორია მაღალი დონისაა. ექსპერტებმა იგი ადგილზე დაათვალიერეს და დაადასტურეს, რომ აღჭურვლობა სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ლია აფციაურმა დაამატა, რომ ლაბორატორია აღჭურვილია იმავე სტანდარტებით, რაც აკრედიტებულ ლაბორატორიებშია და სტუდენტებს ეძლევათ ყველა საჭირო პირობა ცოდნის საფუძვლიანად შესაძენად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:15:58
დასრულების დრო:16:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის", საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის", საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის

მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას
მიენიჭოს აკრედიტაცია7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე და მესამე საკითხი:
სსიპ-შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”ხელოვნებათმცოდნეობის” (ქართული ხელოვნება ,კვლევა და დაცვა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენლი ანგარიშის განხილვა;
სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) სადოქტორო საგანმანატლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, განაცხადა, რომ მესამე საკითხის განხილვაც ეხება იმავე უნივერსიტეტის სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) სადოქტორო პროგრამის ანგარიში“, რომლის შეფასების პროცესში იგივე ექსპერტი მონაწილეობდა. ლევან შავაძემ დააყენა საკითხი საბჭოს წევრებთან, ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან რომ აღნიშნული ორი საკითხი განეხილათ ერთად.

აღნიშნულ საკითხს დაეთანხმნენ საბჭოს წევრებიც, ექსპერტებიც და დაწესებულების წარმომადგენლებიც.

მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ხათუნა ხაბულიანმა, განმარტა, რომ დასკვნის მომზადების მიზანი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის შეფასება, რაც მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს გადაწყვეტილებების, რეკომენდაციების და რჩევების შესრულების ანალიზს და შეფასებას.
მან აღნიშნა, რომ ის მასალები, რაც შეისწავლა, და რეკომენდაციები, რაც უნდა გაეთვალისწინებინა ინსტიტუციას, წარმოდგენილია გაგზავნილ ანგარიშში და განიხილება სხვადასხვა სტანდარტის მიხედვით.
რეკომენდაციები ითვალისწინებდა შემდეგს:

- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა ასახულიყო ანალიზის კომპეტენცია;
- პრაქტიკის ობიექტებთან უნდა გაფორმებულიყო მემორანდუმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა პრაქტიკის ვადები და სტუდენტთა რაოდენობა;
- ასევე გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია რომ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში;
- რეკომენდებული იყო, რომ დასწრებასა და აქტივობაზე გამოყოფილი 15 ქულა უნდა ამოღებულიყო;
- რეკომენდაცია ეხებოდა ასევე პროგრამების მიხედვით დეტალური ბიუჯეტის წარმოდგენას, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარჯები;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის მიზნით, რეკომენდებული იყო აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა თვითშეფასების პროცესში;
- და ბოლოს, რეკომენდირებული იყო აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმირება მომხდარიყო წერილობითი უკუკავშირით და ამ პროცესისთვის ფორმალური სახის მიცემა.

ამ სამაგისტრო პროგრამის მიმოხილვის საფუძველზე, სადაც განსაზღვრული იყო ეს ამოცანები კლასტერის ქვეშ, ექსპერტთა ჯგუფი ასევე მიიჩნევდა, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის მიზნები აღწერს ცოდნის იმ სიღრმეს, რომელიც საჭიროა ხელოვნების ისტორიის კურსდამთავრებულის მეშვიდე საფეხურზე განვითარებისთვის, აქცენტით ქართულ ხელოვნებაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, და მის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ხათუნა ხაბულიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.
სადოქტორო პროგრამის შეფასებისას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადი აქცენტი რეკომენდაციებში არის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. ასევე განხილული იქნა ტექნიკური საკითხები, მაგალითად, ბიბლიოთეკის გამდიდრება. ასევე, გაცემული იყო რჩევაც, აკადემიური წერის სახელმძღვანელოების უფრო დაზუსტება. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნული რეკომენდაციები ცვლილებების გათვალისწინებით შესრულდა.

აქვე კიდევ ერთხელ ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაციაზე რეაგირება მოახდინა და ზედმიწევნით შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო გენგიურმა, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მადლობის მეტი არაფერი აქვს სათქმელი. მისი თქმით, რეკომენდაციები, რომლებიც წარმოდგენილი იყო, დაწესებულებისმიერ სრულად შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:09

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ-შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”ხელოვნებათმცოდნეობის” (ქართული ხელოვნება, კვლევა და დაცვა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”ხელოვნებათმცოდნეობის” (ქართული ხელოვნება, კვლევა და დაცვა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის შესაბამისად, სსიპ -შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეოთხე და მეხუთე საკითხი:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, განაცხადა, რომ მეხუთე საკითხის განხილვაც ეხება იმავე უნივერსიტეტის სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი“ რომლის შეფასების პროცესში იგივე ექსპერტი მონაწილეობდა. ლევან შავაძემ დააყენა საკითხი საბჭოს წევრებთან, ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან რომ აღნიშნული ორი საკითხი განეხილათ ერთად.

აღნიშნულ საკითხს დაეთანხმნენ საბჭოს წევრებიც, ექსპერტებიც და დაწესებულების წარმომადგენლებიც.

მეოთხედა მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა თავისი დარგობრივი კოლეგებთან ერთად. მან აღნიშნა, რომ დოკუმენტაცია დაწესებულების მხრიდან მოწოდებული იყო სრულად და ისინი წინასწარ გაეცნენ რეკომენდაციებს.

მან განაცხადა, რომ დაწესებულება პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ პროცესს, რადგან დეტალურად იქნა განხილული ყველა რეკომენდაცია და დაწესებულების მხრიდან იყო აბსოლუტურად სრული ჩართულობა.

აღსანიშნავია ისიც, გარდა იმისა რომ დაწესებულების მხრიდან დეტალურად იყო გაკეთებული აქცენტები რეკომენდაციებზე, ასევე პარალელურ რეჟიმში სრულად განხილული ჰქონდათ რჩევებიც, რომლებიც პროგრამის განვითარებისთვის იყო მნიშვნელოვანი.

1.1 კომპონენტში სწავლების მიზნები გადაიხედა მას მერე, რაც მოხდა ცალკეული სასწავლო კურსების შემატება პროგრამისთვის, რომელიც ექსპერტების მიერ იყო რეკომენდებული და რაც მთავარია, სწავლის მიზნები გაიწერა 5 მნიშვნელოვანი მიმართულებით როგორიც არის კვლევა, შემოქმედება, ექსპერიმენტი, პრაქტიკა და პედაგოგიური მუშაობა, რასაც რეალურად ორივე პროგრამა დეტალურად მიჰყვება, რაც ასახულია მიზნებში და შესაბამისად ნაჩვენებია შედეგებში.

ასევე, დაწესებულების მხრიდან დეტალურად იქნა შესწავლილი სწავლის შედეგები და მისადაგებული მიზნებთან. ამაზე მეტყველებს 1.3 კომპონენტის ფარგლებში ჩვენს მიერ განხილული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, წარმოდგენილი რუქისა და ანალიზური დოკუმენტის სახით.

პროგრამას ჰქონდა მაღალი სამიზნე ნიშნულები, კერძოდ, სტუდენტების 70% უნდა მიეღო „A“ და „B“ შეფასება და ანალიზური დოკუმენტის მიხედვით როგორც დარგის ექსპერტებმა აღნიშნეს, ოთხ სავალდებულო კურსის და ორი სასწავლო კურსის სამიზნე ნიშნულის მიხედვით დაფიქსირდა გადახრა 20% და 50% შორის. ორი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ნიშნული ზუსტად იყო გათვლილი მენეჯმენტის მხრიდან და მინიმალური გადახრა იყო 20%.

რაც შეეხება სტრუქტურას და შინაარს ვინაიდან რეკომენდაცია იყო გარკვეული სასწავლო კურსების დამატებაზე, გაიზარდა სასწავლო კურსების კრედიტმოცულობა 40-მდე მათგან 30 კომპონენტი გახდა სავალდებულო და 10 არჩევითი.

ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო შრომის ბაზრის კვლევა. წარმოდგენილი იყო დაწესებულების განახლებული მონაცემები და მაღალი იყო დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემდგომი მოდიფიკაციის ეტაპზე.

გადაიხედა, ასევე, კვლევით ნაწილში ხელმძღვანელის ფუნქცია და როლი. ამას დაემატა ის, რომ სასწავლო კურსში პროფესორ ასისტენტის ორი სასწავლო კურსი ჩაიდო არჩევითი და ძირითადი.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი საერთაშორისო ანალოგების მიხედვით იყო ჩამოყალიბებული დიდი ბრიტანეთის კენტის უნივერსიტეტის მაგალითზე და საუკეთესო პრაქტიკები იყო გაზიარებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს ჰყავს ძლიერი საერთაშორისო პარტნიორი „გრაცის“ უნივერსიტეტის სახით. საიდანაც აკადემიური პერსონალი და მკვლევართა დიდი კოჰორტა არის ჩაბმული პროგრამის სამუშაო პროცესში. შეფასების ფარგლებში ექსპერტებს მიეცათ საშუალება შეხვედროდნენ ავსტრიელ კოლეგებს რომ მათ წარმომადენლებთან ექსპერტებს შეხვედრა ჰქონდათ ავსტრიელ პარტნიორებთანაც და ინტერვიუც ჰქონდათ.

ასევე, ლიტერატურის ნაწილში, ექსპერტებმა მოითხოვეს მათი განახლება უახლესი მასალებით. თუმცა, ზუსტად ჩვენი შეფასებების პროცესში უკვე მზადდებოდა პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელის ახალი სახელმძღვანელო.

მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო ინფრასტრუქტურის განახლებასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ 2023-2024 წლის ფარგლებში შეძენილია ახალი ინფრასტრუქტურა, ასევე გავეცანით დოკუმენტაციას, სადაც უკვე დაწყებული იყო წარმოება ინფრასტრუქტურის შეძენაზე, რაც ტენდერის შემდგომ მიეწოდება დაწესებულებას.

აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი დაემთხვა ვიზიტს, სადაც სადოქტორო ნაშრომების დაცვა მიმდინარეობდა და ექსპერტები შეესწრნენ კვლევითი პროცესების გამოფენას. ნახეს ყველა ის შესაძლებლობა, რაც დაწესებულებას ჰქონდა კვლევითი პროცესების საწარმოებლად.

ადამიანური რესურსების კომპონენტში, ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო აკადემიური პერსონალის დამატებასან დაკავშირებთ შესრულბულია, რადგან დაწესებულებას გამოცხადებული ქონდა კონკურსი და ასოცირებული პერსონალი უკვე შტატში არის დამატებული.

ექსპერტებმა თავად ნახეს დიდი მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, როდესაც სტუდენტები გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ „გრაცის“ უნივერსიტეტიში და წარადგინეს მათი ნამუშევრები გამოფენაზე, საერთაშორისო მასშტაბით შეფასდა მათი ნამუშევრები.

საუბრის მიწურულს აღინიშნა, რომ ორივე პროგრამა პოზიტიურად იქნა შეფასებული და დეტალურად არის შესრულებული დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო გაგნიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ანალიზისა და დასკვნისთვის.

აღნიშნა, რომ სამუშაო მართლაც დიდი იყო და დაწესებულება შეეცადა, გაეთვალისწინებინა და შეესრულებინა ის რეკომენდაციები რომელიც ექსპერტების მიერ იყო გაცემული.

აქვე გააკეთა კომენტარი ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომ მონოგრაფიული კვლევა ამ პროგრამის უკვე Amazon-ზე დევს.

ასევე, კლასტერული აკრედიტაციის დროს გაცემული იყო რეკომენდაცია პროგრამის ბიუჯეტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, რაც მონიტორინგის დოკუმენტებშიც იყო ასახული. თუმცა, ამის შემდეგ პირველად, დაწესებულებამ მოიპოვა ფინანსური რესურსი, რომლის მეშვეობითაც დოქტორანტებს დაუფინანსდებათ საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში და კონფერენციებში მონაწილეობა, ასევე სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელებს — ნანა იაშვილის და კარლ სტოკერს.
ნანა იაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტ ნინო ქიმერიძეს და აღნიშნა, რომ ვერაფერს დაამატებდა, რადგან სრულად იყო წარმოდგენილი მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა და მიღწევები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ახალი პროგრამის ფარგლებში შესრულდა.
ასევე განაცხადა, რომ აპრილში იგეგმება დიდი საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ხელოვნების სფეროს მნიშვნელოვანი სტუმრები დაესწრებიან.

შემდეგ გადათარგმნა კარლ სტოკერის კომენტარი: ის დადებითად გაოცებულია სტუდენტების მაღალი მოტივაციითა და მომზადების დონით. მისი თქმით, უკვე გამოქვეყნებულია „Amazon-ზე“ წიგნი, რომელიც ქართულ ენაზეც ორი კვირის ვადაში გამოვა. მან დამატებით გაუსვა ხაზი იმ მნიშვნელოვან სტუმრებს, რომლებიც კონფერენციას დაესწრებიან და აღნიშნა, რომ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნებიან პარტნიორი ორგანიზაციებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:46
დასრულების დრო: 17:52

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233

ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 31 ოქტომბერი 18:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე